დანართი N1

"ახალგაზრდული მუსიკალური ბენდების მხარდაჭერის" კონკურსის ჩატარებისა და დროებითი კომისიის მუშაობის დებულება

1. ზოგადი დებულებანი

1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს კონკურსის „ახალგაზრდული მუსიკალური ბენდების მხარდაჭერა" ჩატარების წესსა და პირობებს, შეფასების კრიტერიუმებსა და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის საკითხებს.
1.2 კონკურსის ორგანიზატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.
1.3 კონკურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება, რომელიც:
1.3.1 უზრუნველყოფს მონაწილეთა ინფორმირებას;
1.3.2 კონკურსის ჩატარების საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას;
1.3.3. კონკურსის ჩატარების ხელშეწყობას.
1.4 კონკურსი ტარდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით.
1.5 კონკურსი „ახალგაზრდული მუსიკალური ბენდების მხარდაჭერა" ითვალისწინებს ახალბედა და ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ, ქალაქ ქუთაისში მოღვაწე მუსიკალური ბენდების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობას.

2. კონკურსის მიზანი

2.1 კონკურსის მიზანია დამწყები ახალგაზრდული მუსიკალური ბენდებისა და უკვე არსებული/ახალი მუსიკალური მიმდინარეობების წახალისება და პოპულარიზაცია;
2.2 კულტურულ და სახელოვნებო სფეროში ახალგაზრდების აქტიური ჩართვა;
2.3 ახალგაზრდული მუსიკალური ბენდების პროფესიული ზრდა, კონკურსებისა და ფესტივალების ხელშეწყობა.

3. კონკურსის ჩატარების პირობები და მოთხოვნები

3.1. საკონკურსო განაცხადის შემოტანის უფლება აქვს ბენდის წევრ საქართველოს მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან.
3.2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ქალაქ ქუთაისში მოღვაწე მუსიკალურ ბენდებს.
3.3 საკონკურსო განაცხადების მიღება წარმოებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია ხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურში კომისიის მდივანთან. მდივანი უზრუნველყოფს კონკურსში მონაწილეთა საინფორმაციო ბაზის შექმნას და ინფორმაციის გაცემას. კონკურსში მონაწილეობის მსურველები ავსებენ დადგენილი ნიმუშის განაცხადს დანართი 2-ის შესაბამისად.
3.4 კონკურსში მონაწილეს შეუძლია შეავსოს მხოლოდ ერთი განაცხადი.
3.5 განაცხადი შევსებული უნდა იყოს სააპლიკაციო ფორმაში მითითებული მოთხოვნათა დაცვით.
3.6 საკონკურსო განაცხადს თან უნდა ახლდეს ბენდის შემოქმედებიდან მინიმუმ 1 /ერთი/ ვიდეო რგოლი.

3.7 კომისია არ განიხილავს განაცხადს:

ა) განსახილველად არ დაიშვება არასრულად შევსებული საკონკურსო განაცხადი;
ბ) რომელსაც თან არ ახლავს ვიდეორგოლი, მუსიკალური ბენდის შემოქმედებიდან.

4. საკონკურსო თემატიკა

ბენდების მიერ წარმოდგენილი მუსიკალური მიმდინარეობის თემატიკა შეზღუდული არ არის.

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტების ნუსხა

5.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) შევსებული სტანდარტული სააპლიკაციო ფორმა/განაცხადი /დანართიN2
ბ) ბენდის წევრების CV
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
დ) ბენდის წევრების თანხმობა კონკურსში მონაწილეობაზე.

5.2 დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფორმით;
5.3 კონკურსანტი უფლებამოსილია შეცვალოს წარმოდგენილი განაცხადი, ან/და დამატებით წარმოადგინოს დოკუმენტაცია, მხოლოდ საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებამდე;
5.4 კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

6. კონკურსის ეტაპები

კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

I - საკონკურსო განაცხადების მიღება; (დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა)
II - მონაწილეთა მოსმენა და გამარჯვებული ბენდების გამოვლენა.

7. შეფასება

ბენდების შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით

№	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	ფრაზების აქცენტირება და დინამიკა	10
2	მუსიკალური ნაწარმოების არანჟირება	10
3	ჟანრობრივი „შეთავსება" ბენდსა და და ვოკალს შორის	10
4	ინტონაციური სიზუსტე	10
5	ინდივიდუალიზმი	10

6	საშემსრულებლო მანერა	10
	სულ	60 ქულა

8. კონკურსის ჩატარების ვადები და პირობები

8.1 კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება წარმოებს 2024 წლის 5 აპრილიდან - 30 ივნისის 18:00 სთ-მდე ელექტრონული ფორმით მისამართზე-contact@kutaisi.gov.ge ;
8.2 კონკურსის ჩასატარებლად ტექნიკური დეტალების უზრუნველყოფას განახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური;
8.3 კონკურსანტი ვალდებულია საკონკურსო დღეს ჟიურის წინაშე წარმოადგინოს 2 /ორი/ მუსიკალური ნომერი.

9. საკონკურსო ჟიურის შექმნა და მუშაობის წესი

9.1 კონკურსის დებულებას და საკონკურსო ჟიურის შემადგენლობას ამტკიცებს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი შესაბამისი ბრძანებით;
9.2 ჟიური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სიით შემადგენლობის უმრავლესობა;
9.3 თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კონკურსანტს, რომელიც 1-ელი და მე-2 კრიტერიუმების ქულობრივი შეფასებით დააგროვებს უფრო მაღალ ქულათა ჯამს;
9.4 ჟიურის გადაწყვეტილება კონკურსის შედეგებთან დაკავშირებით გამოქვეყნდება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ და კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის Facebook გვერდზე, გამარჯვებული ბენდების გამოვლენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

10. კონკურსში გამარჯვებული ბენდების დაჯილდოება

10.1 კონკურსში გამარჯვებული I ადგილზე გასული ბენდი მონაწილეობას მიიღებს, მიმდინარე წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილ ახალგაზრდული მუსიკის ფესტივალში „როკაია".
10.2 გამარჯვებულ ბენდებს ჯილდოს სახით გადაეცემათ მუსიკალური მაღაზიის ვაუჩერი I ადგილი - 7000 ლარი; II ადგილი - 5 000 ლარი, III ადგილი - 3 000 ლარი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
212721170